



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49203322

თარიღი:27/11/2020

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36 81**

**შპს „მაგთიკომი“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ერთი წლის ვადით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (გარე განათების კონსტრუქციების) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 ნოემბრის №48-482033122 წერილი, რომელშიც შპს „მაგთიკომი“-ს წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას აღნიშნულ შპს-ს, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (გარე განათების კონსტრუქციები).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, შპს „მაგთიკომს“ სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ერთი წლის ვადით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (გარე განათების კონსტრუქციები).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის  
შემსრულებელი)



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2020 წლის 27 ნოემბრის №36 81 განკარგულების

დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა
1	2	3	4	
1	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მალლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.305	28 ლარი
2	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მალლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 44.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.306	88 ლარი
3	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მალლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.307	28 ლარი
4	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 53.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.308	106 ლარი
5	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 71.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.309	142 ლარი
6	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 11.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.310	22 ლარი
7	წყალტუბო- ქუთაისის საავტომობილო გზა	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 242.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.144	484 ლარი